აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№109 (24.989) ხუთშაბათი, 6 - 7 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან ერთად გუშინ პრაღაში გაემგზავრა, სადაც 6-7 ოქტომბერს ევროკავშირის მიერ ინიციირებული ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის პირველი სამიტი იმართება. მასში ევროკავშირის 27 წევრი და 17 პარტნიორი სახელმწიფოს მეთაურები მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებთან ერთად, მრგვალი მაგიდის ფორმატში დაგეგმილ მაღალი დონის თემატურ დისკუსიებში მიიღებს მონაწილეობას.

* * *

პარლამენტის აწ უკვე ყოფილი წევრი თამარ ტალიაშვილი ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა. „ქალბატონი თამარი არის გამორჩეული პროფესიონალი, გამორჩეული პატრიოტი, გამორჩეული ქალი პოლიტიკოსი და დარწმუნებული ვარ, ეს თვისებები მას ასევე გამორჩეულ დიპლომატად აქცევს. წარმატება მინდა ვუსურვო საქართველოს პარლამენტის სახელით“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საკანონმდებლო ორგანოში, ტალიაშვილისთვის ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დანიშვნის მილოცვისას.

* * *

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ექსპერტიზის დასრულებამდე ექსპრეზიდენტი მედიკამენტების მიღებაზე უარს აცხადებს. როგორც ხაჭაპურიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სააკაშვილს „ვივამედის“ კლინიკაში შეყვანიდან დღემდე, დაახლოებით, 20 კილოგრამი აქვს დაკლებული. „წუხანდელთან შედარებით, უკეთესი სიტუაციაა, თუმცა, ზოგადად, რთული მდგომარეობაა. წამლების მიღებაზე უარი განაცხადა, თუმცა არა პროტესტის მიზნით. ფაქტია, რომ ჯანმრთელობა უარესდება,“ აღნიშნა ადვოკატმა.

* * *

ჩვენი წინადადებაა, საარჩევნო საკითხებზე უმრავლესობის და ოპოზიციის პროექტები ვენეციის კომისიაში გაიგზავნოს და კონსენსუსური დოკუმენტი მივიღოთ, სადაც ორივე პროექტიდან ვენეციის კომისიის მიერ მოწონებული პუნქტები აისახება, - ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროექტით გარკვეული საკითხები გვარდება, თუმცა, მნიშვნელოვანია ოპოზიციის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სხვა პრობლემებს აგვარებს, ამიტომ შეჯერებული დოკუმენტის მიღება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დეესკალაციისკენ.

მოამზადა
ია შველიძემ

სამინისტრომ პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასტუმრო „Radisson Blu Batumi“-ში საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც პედაგოგებს წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის მადლობის სიგელები გადასცეს

შეხვედრის მიზანს მასწავლებელთა მხარდაჭერა, ახალი თაობის განვითარებაში მათი წვლილის, ღვაწლის წარმოჩენა და დაფასება წარმოადგენდა. 70 მასწავლებელი მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებმა სასკოლო თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებებში ჩართულობის, საგანმანათლებლო კონფერენციებში მონაწილეობის, წარმატებული მოსწავლეების, ოლიმპიადებსა და კონკურსებში მათი აღზრდილების გამარჯვების, სასკოლო ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს. პედაგოგებს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ასევე გადასცა ფასიანი საჩუქრები და თითოეულს წარმატებები უსურვა.

- მინდა თითოეულ პედაგოგს პროფესიული დღე მივულოცო. მასწავლებლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამავდროულად დიდი პატივია, ქვეყანას აღუზარდო ღირსეული და განათლებული თაობა. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩვენი დაფასებისათვის. წარმატებას და ნაყოფიერ შრომას ვუსურვებ ყველა პედაგოგს, - გვითხრა ზემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა ქამადაძემ.

მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა:

- დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მინდა მივულოცო მასწავლებელთა საერთაშორისო დღე თითოეულ იმ ადამიანს, ვინც დღეს პედაგოგიურ საქმიანობაშია ჩართული, ასევე მათ, ვინც დატოვა განათლების სფერო, მაგრამ წლების განმავლობაში ემსახურებოდა და გაზარდა არაერთი თაობა. ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ დიდი სიამოვნებით მივიღებთ ჩვენს სისტემაში ახალგაზრდა კადრებს იმისთვის, რომ არ გაწყდეს თაობათა შორის კავშირი და ის გამოცდილება, რაც არის დაგროვებული, გადაეცეს ახალ თაობებს. მინდა თითოეულ პედაგოგს, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელობა ვუსურვო, ასევე, ბევრი წარმატება და მადლიერი თაობები.

საზეიმო დაჯილდოებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელები დაესწრნენ.

- პირველ რიგში, ყველა მასწავლებელს მინდა მივულოცო პროფესიული დღე, მადლობა გადავუხადო გაწეული ღვაწლისთვის და კიდევ ერთხელ მთელი გუნდის სახელით, დავპირდე მხარდაჭერას როგორც ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ასევე მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

თორნიკე რიყვაძის თქმით, განათლება ქვეყნისათვის ეროვნული იდეაა, რაც მმართველობის ყველა რგოლში იგრძნობა და რასაც განსაკუთრებული ხელშეწყობა სჭირდება. თორნიკე რიყვაძემ პედაგოგებთან გააჟღერა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2026 წლისთვის საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლა, რომელსაც ეს სჭირდება, იქნება რეაბილიტირებული, ასევე, დაემატება ასეულობით ახალი სკოლა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაციით, როგორც წელს, მომავალ წელსაც გაიზრდება სკოლის როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე მასწავლებლების ანაზღაურება საათობრივადაც და ყოველთვიურადაც.

მანანა აბუსელიძე - უჩამბის საჯარო სკოლის პირველი სერტიფიცირებული პედაგოგი

4

გალერეის მომლოდინე ტილოები

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მთავრობის წევრები სოფლად მცხოვრები მოქალაქეების საჭიროებებს გაეცნენ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან, ასევე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილესთან ერთად, სოფელ რიყეთის, დიოკნისისა და დიდაჭარის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდა

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით,შეხვედრაზე ადგილობრივებს მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები გააცნეს, მთავრობის წევრებმა მოუსმინეს სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს.

- ინიციატივის ფარგლებში, დღემდე მოსახლეობის მიერ დასახელებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოგვარდა. შეხვედრების მიზანი, სწორედ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივი მსჯელობაა. მსგავსი ტიპის უშუალო კომუნიკაცია მოსახლეობასთან, მნიშვნელოვნია და ხელს უწყობს ბიუჯეტის მიზნობრივ და სწორ დაგეგმას, - აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ქედელი ფეხბურთელების წარმატება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტის გუნდმა მინიფეხბურთში აჭარის ჩემპიონობა მოიპოვა.

მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ბათუმის გუნდებს შორის, ტურნირის ფარგლებში 14 თამაში ჩატარდა. ქედის გუნდმა 14-ივე მოიგო. დასახელდნენ სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები: ქედელი გიორგი შავლიძე ტურნირის ბომბარდირი გახდა; რომა ქობულაძე - ტურნირის საუკეთესო მცველი; ირაკლი ბარამიძე - ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე სპორტსმენებს და გუნდის ხელმძღვანელ არჩილ ბეჟანიძეს შეხვდა, მათ მიღწეული გამარჯვება მიულოცა და ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობაში წარმატებები უსურვა.

ტურნირის ორგანიზატორი ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ დირექტორი მანუჩარ ჯიჯავაძე იყო.

ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშესაწყობად

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი და გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა

შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები, სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მანუჩარ აბაშიძე.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მიმდინარე წლის ციტრუსის და ხურმის სეზონთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხილვა, პროდუქციის დამზადების, შესაფუთი მასალით უზრუნველყოფისა და საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სახით პროდუქციის მიწოდება.

შეხვედრაზე არსებულ გამოწვევებსა და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის მექანიზმებზე იმსჯელეს. მოსავლის აღება-დაბინავების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, სეზონზე ამოქმედდება ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი, რომლის ძირითადი მიზანია მანდარინის ჩაბარების პროცესის მართვა, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლი. სამუშაო ჯგუფი, გარდა არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციისა, უწყვეტ რეჟიმში იქნება ჩართული სტანდარტული მანდარინის რეალიზაციაში.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში გრძელდება. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზმამდე მივა. მიმდინარე სამუშაოები მოინახულეს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს როგორც გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ისე ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. პროექტი 2 მონაკვეთადაა დაყოფილი და ჯამში, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 42-კილომეტრიან გზას უტარდება. პირველი მონაკვეთი ქუვეითის ფონდის მიერ ფინანსდება, მეორე კი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამუშაოების საერთო ღირებულება 95 689 302 ლარს შეადგენს.

ქალთა გაძლიერებისთვის

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

„ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება-ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ქედაში შეხვედრა გაიმართა

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოსა და „ქალთა ოთახის“ მიზნობრივი პროგრამის „ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება-ხელშეწყობის“ ფარგლებში, გამარჯვებულ მონაწილეებთან ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, პოლიტიკისა და შესაძლებლობების განვითარების სპეციალისტმა გაეროს განვითარების პროგრამიდან ნათია წიქვაძემ და იდეის გამარჯვებულმა კონკურსანტებმა.

ქედის მუნიციპალიტეტში პროექტი პირველად ხორციელდება, რომლის ფარგლებში სულ 9 ბიზნესიდეა დაფინანსდება. აღსანიშნავია, რომ „გაეროს განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, პროექტის ბიუჯეტი 15 000 ლარით გაიზარდა, რაც ჯამში 30 000 ლარს შეადგენს.

- პროგრამის განხორციელების მიზანია ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიას ესწრებოდნენ აჭარის უმაღლეს საბჭოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფატი ხალვაში, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე და საკრებულოს წარმომადგენლები.

შეხვედრა - ელჩთან

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი სომხეთის რესპუბლიკის ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აშოტ სმბატიანს შეხვდა, - ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, შეხვედრას დაესწრო ფინანსთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე გუნცაძე.

„გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები, ხაზი გაესვა საგადასახადო და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის პოტენციალს. ფინანსთა მინისტრმა დიპლომატს გააცნო ქვეყნის მიმდინარე მაკროეკონომიკური პარამეტრები, მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითადი მონაცემები. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ გამოწვევებს და ამ ფონზე საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობისა და საზღვარზე ტვირთების შეუფერხებლად გადაადგილების მნიშვნელობას.

სომხეთის ელჩმა გამოთქვა მზაობა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ოპოზიცია დემორალიზებულია და უნდა განახლდეს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენს ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბები ხდება: ოპოზიციისა და ხელისუფლების თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხში, ოპოზიციური სპექტრის დაქსაქსულობა და ხშირ შემთხვევაში, ურთიერთდაპირისპირება, რუსი მოსახლეობის მასობრივი შემოსვლა საქართველოში და დასავლეთის გზავნილები ქართული პოლიტიკური სპექტრისადმი, რაც, გარკვეულწილად, პოლარიზებული გარემოს აღმოფხვრისკენაა მიმართული, მაგრამ...

სამწუხაროდ, ამ მიმართებით არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ქმედით ნაბიჯებს არ დგამს, ექსპერტები ოპოზიციის ბრალეულობაზე ღიად საუბრობენ. დასავლეთის პოლიტიკური ელიტა დიდი ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე პროცესებს, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში ანარქიამ არ დაისადგუროს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურმა სპექტრმა კომპრომისს მიაღწიოს საჭირბოროტო საკითხებზე.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინოს, ყოველ შემთხვევაში, პუტინის ამასწინანდელი განცხადება (საკუთარი მოსახლეობის დაცვის თაობაზე) ამის თქმის საშუალებას იძლევა. სწორედ ამ მიმართებითაა საჭირო ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთიანობა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებულნი, რასაც ემატება იდეების უქონლობა, პოლიტიკაში მთელი სურათის დაუნახაობა და ა. შ. ამ მხრივ ექსპერტები არანაკლებ პრეტენზიებს გამოთქვამენ ოპოზიციის მისამართითაც. ამჯერად, ძირითადად, ოპოზიციაზე ვისაუბრებთ, რადგან აქ მიმდინარე პროცესები არაერთ კითხვას ბადებს... „აშკარაა, რომ დღეს ოპოზიცია კრიზისშია, აღარავისთვის არის ახალი, რომ ოპოზიციურ ველზე იდენტობის, იდეის, ხშირად მორალის, პასუხისმგებლობის სრული კრიზისია“ - ეს სიტყვები მმართველი პარტიის წევრს რომ ეთქვა, გასაკვირი არ იქნებოდა, 30 წლის განმავლობაში მივეჩვიეთ ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთდაპირისპირებას, მაგრამ როცა ოპოზიციას ამგვარი სიტყვებით თავად ოპოზიციონერები, ამ შემთხვევაში ნიკა ობოლაძე ამკობს, წესით და რიგით, უნდა გამოფხიზლდეს და არსებული რეალობა გადააფასოს. „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდა ლიდერი ნიკა ობოლაძე აცხადებს, რომ ოპოზიცია სრულად დემორალიზებულია და უნდა განახლდეს. „საჭიროა ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ოპოზიცია შეიქმნას და თუ ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ გადადგომას, თუ საჭირო გახდა, ეს ოპოზიციასაც უნდა მოვთხოვოთ“, - დასძენს ნიკა ობოლაძე და ნიკა მელიაზე მიგვანიშნებს. ამავე აზრს ავითარებს პარლამენტარი თაკო ჩარკვიანი. „მელიამ უნდა აღიაროს, რომ გაუჭირდა პარტიის ლიდერობა და გადადგეს“. ბოროტი ენები ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობაში“ ხელჩართული ჩხუბი გაიმართა მელიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რასაც თავად ამ პარტიის წევრები უარყოფენ. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ოპოზიცია დემორალიზებულია. მაგალითად, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ გასაოცარია ოპოზიციის ასეთი მდორე და მოდუნებული მდგომარეობა. სხვათა შორის, ოპოზიცია რომ არათანმიმდევრულია, ჩანს თუნდაც რუსი მოსახლეობის ქვეყანაში შემოსვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში. ზოგი საზღვრის ჩაკეტვას ითხოვს, ზოგი 1000 ლარის გადასახადის დაწესებაზე საუბრობს, რაც ოპოზიციის არათანმიმდევრულობას აჩვენებს. არადა, ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მარგველაშვილის შეხედულება: „საქართველოში რუსი მოსახლეობის შემოსვლა სახიფათო არ არის, ისინი ომში წასვლას გამოეცხენ და ამაზე სჯა-ბაასი მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ქვეყნის პრობლემა ჩვენი მთავრობა და უუნარო ოპოზიციაა“.

„მარგალიტებს“ ოპოზიციის მიმართ არც სხვები იშურებენ. ექსპერტები დაუფარავად საუბრობენ, რომ ოპოზიციაში ლიდერის დეფიციტია. მართლაც, ოპოზიციურ ველზე არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერი, რომელმაც უნდა შეძლოს მთელი ოპოზიციის გაერთიანება და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. ოპოზიციის დაქსაქსულობის მაგალითებია: შალვა ნათელაშვილს ოპოზიციონერები დასცინიან, ბოკერიას ფსევდოლიბერალად მოიხსენიებენ, გიორგი ვაშაძეს კი ნათელაშვილი ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში ადანაშაულებს. მელიას უკვე თავად პარტიაშიც აღარ ენდობიან, ამ ფონზე გაუგებარია, ოპოზიცია რატომ ითხოვს რიგგარეშე არჩევნებს, რადგან ასე დაქსაქსულები არჩევნებს როგორ მოიგებენ?! ვიდრე ოპოზიცია მძლავრ ბლოკად არ გაერთიანდება, მმართველ პარტიას არ გაუჭირდება მისი დამარცხება. თანაც ოპოზიციური ამომრჩეველი გულგატეხილია, მიზეზი არაერთია: მათი თქმით, ოპოზიციამ ვერ შეძლო გაყალბებული არჩევნების დაცვა; მძლავრი, ყოველდღიური დემონსტრაციების ორგანიზება, როგორც ამას აკეთებდნენ 90-იან და 2003 წლებში გამსახურდია და სააკაშვილი. აღსანიშნავია, ასევე ოპოზიციის არათანმიმდევრულობა სხვადასხვა საკითხთან მიმართებით - ხან ბოიკოტის მომხრენი იყვნენ, მერე პარლამენტში მოკალათდნენ, ახლა ისევ ალაპარაკდნენ პარლამენტის დატოვებაზე. რაც მთავარია, მოსახლეობა ვერ დაარწმუნეს ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაში. გარდა ამისა, მოსახლეობა ინდიფერენტული გახდა პოლიტიკური პროცესებისადმი, რაშიც გარკვეული წვლილი ხელისუფლებამ და ოპოზიციამაც შეიტანა. ცხადია, მმართველი პარტიისთვის ხელსაყრელია მოსახლეობის იმედგაცრუება პოლიტიკური სპექტრისადმი. ოპოზიციის გაერთიანებას ხელს უშლის იდეოლოგიური განსხვავებაც - ზოგი მემარჯვენეა, ზოგი მემარცხენე, ზოგი ამერიკისკენ იხრება, ზოგიც ნეიტრალიტეტის მიმდევარია. ამიტომ, როგორც ექსპერტები აცხადებენ, თუ ოპოზიცია ერთ ბოლოკად არ გაერთიანდება და მოსახლეობას გასაგებ ენაზე დაწერილ პროგრამას არ გააცნობს, შედეგი მათთვის სავალალო აღმოჩნდება.

> ***„ოპოზიციურ ველზე არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერი, რომელმაც უნდა შეძლოს მთელი ოპოზიციის გაერთიანება და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. ოპოზიციის დაქსაქსულობის მაგალითებია: შალვა ნათელაშვილს ოპოზიციონერები დასცინიან, ბოკერიას ფსევდოლიბერალად მოიხსენიებენ, გიორგი ვაშაძეს კი ნათელაშვილი ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში ადანაშაულებს. მელიას უკვე თავად პარტიაშიც აღარ ენდობიან***

რა მდგომარეობაა ამჟამად ოპოზიციურ ველზე? როგორც აღვნიშნეთ, „ნაცმოძრაობაში“ შიდა განხეთქილებაა, პარტიის წევრები უკმაყოფილონი არიან მელიას საქმიანობით, ახსენებენ იმასაც, რომ მან პრაქტიკულად, რამდენიმე მრავალათასიანი მიტინგი უმიზეზოდ დაშალა, ასევე, ვერ დაიხსნა სააკაშვილი ციხიდან და ა. შ. სხვათა შორის, თუ დავაკვირდებით სააკაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს, ის, ძირითადად, კომენტარს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე აკეთებს. ამას კარგად ხედავს „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი, არც ისაა დასამალი, რომ უსააკაშვილოდ „ნაცმოძრაობას“ გაუჭირდება მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსის შენარჩუნება, რაც ამ პარტიისთვის შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს. ცხადია, მთავარ ოპოზიციურ ძალაზე პრეტენზია ექნება სხვადასხვა ოპოზიციურ ძალებს, მაგალითად „სტრატეგია აღმაშენებელს“. ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვებით ამ პარტიამ მესამე ადგილი დაისაკუთრა. რამდენად შეძლებს ეს პარტია მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის მოპოვებას, დრო დაგვანახებს. მიუხედავად იმისა, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ კრეატიული იდეებით გამოირჩევა, ექსპერტები მას დიდ მომავალს არ უწინასწარმეტყველებენ. იგივე შეიძლება ითქვას პარტიებზე „ლელო საქართველოსთვის“ და „საქართველოსთვის“ (გიორგი გახარია). გასაგებია, რომ სხვადასხვა პარტიას ეთაკილება „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსი, მაგრამ რატომ არ შეიძლება ერთ ბლოკად გაერთიანდნენ „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და „რესპუბლიკელები“? ბოლო სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ოპოზიციური ამომრჩევლის 40 პროცენტი უკმაყოფილოა ოპოზიციის საქმიანობით და მათგან გაერთიანებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებისადმი ბოიკოტის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ეს ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს.

ჩავლილმა ბოლო ორმა ათწლეულმა ცხადყო, რომ მხოლოდ გაერთიანებულ, ერთ მუშტად შეკრულ ძალას აქვს არჩევნებში წარმატების მიღწევის შანსი. ამის დასტურია 1990 და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, როცა რამდენიმე პარტია ერთ ბლოკად გაერთიანდა და წარმატებასაც მიაღწია. წარსულის ამ გამოცდილებას არ ითვალისწინებენ ოპოზიციონერები, ამიტომაც არიან სავალალო მდგომარეობაში. ცხადია, ხელისუფლებამაც, უნდა შეასრულოს ევროკავშირის მოთხოვნები თუნდაც საარჩევნო კანონმდებლობასთან და პოლარიზებული გარემოს აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ისიც უდავოა, რომ თანამედროვე მსოფლიოსთან ინტეგრაციის გარეშე, დღეს შემდგარი, განვითარებული სახელმწიფო ვერ იქნები, ევროსტრუქტურებში გაერთიანება კი მხოლოდ იმ ქვეყნებისთვისაა შესაძლებელი, ევროპულ ღირებულებებსა და მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს, რაც ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა გაითავისოს და ამ მიმართებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას, ანუ დაასრულონ პოლარიზებული გარემო, შეასრულონ ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნა, ურომლისოდაც კანდიდატის სტატუსის მიღება უთუოდ გაგვიძნელდება, რის შედეგადაც შესაძლოა, ავტომატურად რუსეთის ორბიტაზე დავბრუნდეთ, რისი დაშვებაც არ შეიძლება.

უცხოეთი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ოთხ კანონს, რომლებიც ადასტურებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული დონეცკის, ლუგანსკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების ანექსიას. ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ „ფედერაციის ახალი სუბიექტების საზღვრები“ განისაზღვრება იმ საზღვრებით, რომლებიც „არსებობდა მათი ფორმირებისა და რუსეთის ფედერაციაში მიღების დღეს“. რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი რეგიონების „ხელმძღვანელების არჩევამდე“, მათ პუტინის მიერ დანიშნული დროებითი მოვალეობის შემსრულებლები უხელმძღვანელებენ.

* * *

ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-8 პაკეტთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს, - ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი „ტვიტერზე“ წერს. „მივესალმები წევრი ქვეყნების დღევანდელ შეთანხმებას სანქციების მე-8 პაკეტზე. ჩვენ ვიმოქმედეთ სწრაფად და გადამწყვეტად. არასდროს მივიღებთ პუტინის ყალბ რეფერენდუმებს და არც რაიმე სახის ანექსიას უკრაინაში“, - აცხადებს ურსულა ფონ დერ ლაიენი. სანქციები, რომლებიც ევროკავშირის ელჩებმა დაამტკიცეს, ნავთობის საზღვაო გზით ვაჭრობის ფასს ზღუდავს, ასევე აწესებს დამატებით აკრძალვებს ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებით.

* * *

სამხრეთ კორეამ და შეერთებულმა შტატებმა იაპონიის ზღვაში აშშ-ის წარმოების ATACMS-ის მცირე რადიუსის ორ-ორი ბალისტიკური რაკეტა გაუშვეს. სამხრეთ კორეის თავდაცვის უწყების განმარტებით, რაკეტების გაშვება იყო ფხენიანის მიერ საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტის გამოცდის საპასუხო ქმედება, რომელმაც იაპონიას გადაუფრინა. სამხრეთ კორეამ ასევე გაუშვა Hyunmoo-2 რაკეტა, რომელიც გაუმართაობის გამო გაშვებიდან მალევე ჩამოვარდა და ქალაქ კანინში პანიკა გამოიწვია. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

* * *

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შორის დღეს პრაღაში პირისპირ შეხვედრა იგეგმება. ეს თურქეთისა და სომხეთის ლიდერებს შორის პირველი პირისპირ შეხვედრა იქნება ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის განახლების შემდეგ.

* * *

ბელარუსი უკრაინაში მიმდინარე რუსეთის ე. წ. „სამხედრო სპეცოპერაციაში“ თავის სამხედროებს არ აგზავნის, - განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ. „ჩვენ იქ ვმონაწილეობთ, ამას არ ვმალავთ, თუმცა არავის ვკლავთ. სამხედროებს არსად ვაგზავნით. ჩვენ არ ვარღვევთ ჩვენს ვალდებულებებს“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. მისი თქმით, ბელარუსის მონაწილეობა დაჭრილების მკურნალობაში, ლტოლვილთა მიღებასა და იმაში გამოიხატება, რომ ბელარუსი არ უშვებს კონფლიქტის თავის ტერიტორიაზე გავრცელებას.

მოამზადა
ია შველიძემ

მანანა აბუსელიძე - უჩამბის საჯარო სკოლის პირველი სერტიფიცირებული პედაგოგი

უჩამბის საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელი ახლა სერტიფიცირებული პედაგოგია. ისინი «მასწავლებლის კვირეულს» მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან, რაც ამ სკოლის პედაგოგ მანანა აბუსელიძესთან საუბარშიც გამოჩნდა

- 5 წლის ვიყავი, როცა ჩვენი ოჯახი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათში საცხოვრებლად გადავიდა. 1974 წლიდან მოყოლებული ამ სოფლის მცხოვრებლები ჩემთვის ძვირფას ადამიანებად იქცნენ. 1969 წელს გამოვემშვიდობე ჩოჩხათის საშუალო სკოლის კედლებს. ახლაც თვალწინ მიდგას პირველი კლასის პედაგოგის მარო დარჩიას მოფერება. ოჯახში დაბრუნებულმა მშობლებს გამოვუცხადე, რომ მისი მსგავსი მასწავლებელი მინდოდა გავმხდარიყავი. ეს ოცნება 1994 წელს ავისრულე, როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების, მეთოდიკისა და ქართული ენა, ლიტერატურის სპეციალობის პედაგოგის დიპლომი ავიღე.

- აჭარის მთიანეთში ისევ როგორ აღმოჩნდით?

- მათემატიკის მასწავლებელი (ეს საგანი გამორჩეულად მიყვარდა) კლარა ანდღულაძე ჩემი დამრიგებელი, მეგობარი და მესაიდუმლე იყო. კვირიაულელი რამაზ ბერიძის და ჩემი გრძნობების შესახებ საიდუმლო პირველად კლარა მასწავლებელსა და დედას გავანდე, თანაც ცალ-ცალკე. საოცარი იყო, როცა ორივემ ერთნაირად მხრები აიჩჩა: «სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო». ყველაფერი ცივი გონებით განვსაჯე, ხელის თხოვნაზე საწყის ეტაპზე, უარი ვთქვი. ხომ იცით, ყველას გვაქვს ახალგაზრდული გატაცებები, თუნდაც უტოპიური სურვილები. ბოლოს ბედმა მაინც ერთად შეგვყარა. ერთმანეთისთვის გამხელილი სიყვარული გაპარვით და ოჯახის შექმნით დავასრულეთ. ეს 1992 წელს იყო.

- ამბობენ, საჩვენებელი ოჯახი გაქვთ...

- ის თბილი, კეთილი ატმოსფერო, რძლისადმი დედამთილ-მამამთილის მოფერება, რომელიც ბერიძეების ოჯახში დამხვდა, ყველა ქართველისთვის მისურვებია. მამამთილი აბესალომ ბერიძე იმ ხანად კვირიაულის დაწყებითი სკოლის წარმატებული მასწავლებელი იყო. ცოდნის იმ ტაძარში შედგა ჩემი პედაგოგად ნათლობა, სადაც ის საქმიანობდა.

- იყო უფროსი მასწავლებელი, მოიპოვო წამყვანი მასწავლებლის წოდება, ისწრაფოდე მენტორი მასწავლებლის წოდებისკენ, ალბათ, იოლი არაა.

- აწ განსვენებული პროფესორები ნოდარ ბასილაძე, ნელი დუმბაძე, მერი ცინცაძე სტუდენტებს, მომავალ პედაგოგებს გვმოძღვრავდნენ, წიგნზე, საკუთარ თავზე მუშაობა ცხოვრების წესად გვექცია. მეთოდურ ლიტერატურასთან ერთად მხატვრულ ლიტერატურასაც ვეწაფები. სკოლა, ოჯახი, უკვე 3 შვილიშვილის ბებიაც ვარ, დიდ ენერგიას, დროის მაქსიმალურ მობილიზებას ითხოვს, მაგრამ წიგნი მუდამ ერთგულ მეგზურად მრჩება. მიტაცებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანები, გოდერძი ჩოხელის მოთხრობები, ტერენტი გრანელისა და ზურაბ გორგილაძის ლექსები.

- რომელიმე მათგანთან პირადი ურთიერთობები თუ გქონიათ?

- მახსოვს, შუახევის რაიონულმა ბიბლიოთეკამ ცნობილ კლასიკოსებს გურამ დოჩანაშვილსა და მუხრან მაჭავარიანს შეხვედრა მოუწყო. რაიონული ბიბლიოთეკის მაშინდელმა დირექტორმა მერი თურმანიძემ, ბიბლიოთეკარმა ლეილა ჭაღალიძემ მიმიპატიჟეს. ორივე შეხვედრა მეხსიერებას ნათელ მოგონებად შემორჩა. ჩვენი ოჯახის ახლობელია პოეტი როინ აბუსელიძე (დედამთილის ძმისშვილია), მისი აქტიურობით ოჯახში ორჯერ მესტუმრნენ საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის «ზე-კართან» მონაწილენი. გენრი დოლიძე გიორგი ხორბალაძე, თვითონ როინი ახლად გამოცემულ წიგნებს საჩუქრად მიგზავნიან. ვერ დავივიწყებ საქმიან ურთიერთობებს ფრიდონ ხალვაშთან, ზურაბ გორგილაძესთან, შოთა, ზურაბ ზოიძეებთან.

- ყველა მასწავლებლის საქმიანობის ორიენტირი აღსაზრდელების საზოგადოებრივ სარბიელზე წარმოჩენაა. სათქმელი გექნებათ...

- კვირიაულში ოცამდე კომლი სახლობს. აქაური ნაკაშიძეების, ფევაძეების, ბეჟანიძეების, კეჟერაძეების შვილების აღზრდის სამსახურში თითქმის 30 წელია ვარ. მეამაყება, რომ «დედაენის» სიკეთეს ეზიარნენ შორეული ნაოსნობის კაპიტანი იაგო კეჟერაძე, მეცნიერების, ბიზნესის, ეროვნული მეურნეობის წარმატებული ადამიანები თებრონე, მარიტა, დათო ვარშანიძეები, ინგა, გიგა ფევაძეები. ამაგი დამიფასდა - 2012 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის საუკეთესო მასწავლებლად მაღიარეს და ღირსების მედლით დამაჯილდოვეს.

- იმ სასწავლო დაწესებულებაში გიხდებათ პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც ახლანდელ შუახევის მუნიციპალიტეტში პირველი საშუალო სკოლა იყო. წინა თაობების გზას როგორ აგრძელებთ?

- უჩამბის საშუალო სკოლას მალე დაარსებიდან 75 წელი უსრულდება. სკოლის დირექცია, თითოეული პედაგოგი თადარიგს ვიჭერთ, რომ ეს თარიღი ღირსეულად აღვნიშნოთ. ამ ეტაპზე სკოლაში 18 პედაგოგი ვართ და ყველა სერტიფიცირებულია. ნათელა ფუტკარაძის, თამარ ცინარიძის, ნინო ფევაძის, ჯემალ გამრეკელიძის და სხვათა გვერდით მუშაობა დიდ პატივად მიმაჩნია. თითოეული ჩვენგანი ამაგს ვუფასებთ სახალხო განათლების ისეთ წარჩინებულებს, როგორიც მევლუდ თურმანიძე, შოთა, თეიმურაზ, ილია ბერიძეები, ლილი ცინარიძე, შაქრო კეჟერაძე, ნელი ჯაოშვილი, ივანე ველიაძე, ხუსეინ ვარშანიძე, ზინა ჩხაიძე, ნოდარ გამრეკელიძე იყვნენ.

- მრავალი პედაგოგი შუახევის სკოლებიდან «პედაგოგიურ ჯილდოზე» გავიდა. თქვენს სკოლაში 80 წელს გადაცილებული ნათელა ფუტკარაძე ისევ აგრძელებს მუშაობას.

- ადამიანს ცხოვრებაში, პროფესიულ საქმიანობაში გზამკვლევი უნდა გყავდეს. სწორედ ასეთი პიროვნებაა ქალბატონი ნათელა. ასაკის მიუხედავად, მან სასერტიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩააბარა და უფროსი მასწავლებლის წოდებით მუშაობას აგრძელებს. კოლეგა, მეზობელი, უფროსი მეგობარი - ასე ვიცნობ მას. მსურს, ყველას დავასწრო და თქვენი გაზეთით მოახლოებული საიუბილეო თარიღი მივულოცო.

- რაა მთავარი, რომ პედაგოგმა თანამედროვე გამოწვევებს, სკოლის წინაშე მდგარ ამოცანებს უპასუხოს?

- ის დროც მახსოვს, ჩემი ხელფასი ერთ სახელმძღვანელოსაც რომ ვერ ყიდულობდა. ხელისუფლება მასწავლებლებს შრომას გვიფასებს. ახალი კალენდარული წლის დასაწყისიდან ანაზღაურება 20 პროცენტით მოიმატებს. გასული საუკუნის 70-იან წლებში აგებული უჩამბის საშუალო (ახლა საჯარო) სკოლის შენობა ხანძარმა შეიწირა. ორი წლის განმავლობაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. ახლა პედაგოგებისა და აღსაზრდელების განკარგულებაშია თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია თვალსაჩინოებებითა და ინვენტარით. სკოლას დახურული სპორტული დარბაზი აქვს, ეზოში ღია ტიპის სპორტული მოედანი გაკეთდა. კვირიაულის, ლაკლაკეთის, ოკისის უბნებიდან, სოფელ წაბლანიდან მოსწავლეები მიკროავტობუსით მოდიან და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ იმავე ტრანსპორტით ოჯახებში ბრუნდებიან.

- მზრუნველი ხელი მარტო განათლების სისტემას ატყვია, თუ...

- უჩამბა და მისი სოფლები შუახევის ცენტრიდან საკმაო მანძილითაა მოშორებული. ჩვენსავით კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა სანატრელი იყო. ახლა სოფლების ცენტრები მშვენდება, შუახევი-უჩამბის საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება მთავრდება. ისიც სათქმელია, რომ უჩამბის თემში არსებული ყველა სკოლა ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. გვყავს წარმატებული მეცნიერები. უჩამბელი ოთარ თურმანიძე შუახევის მასშტაბით პირველი მეცნიერია, რომელმაც 1989 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა. სხვათა შორის, იგი უჩამბის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია, თანაც ოქროს მედალოსანი იყო.

- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თქვენი აღსაზრდელები რა შედეგს აღწევენ?

- უჩამბის საჯარო სკოლა წლების წინ მოპოვებულ წარმატებებს არ თმობს, რაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგებითაც დასტურდება. კურსდამთავრებულთა 85-90 პროცენტი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი ხდება. უჩამბაში შუახევის სახელოვნებო სკოლის ფილიალიც გვაქვს. ამ კერის პედაგოგების მარინა ფევაძის, ია ბერიძის აქტიურობით ფილიალის მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ ფესტივალებსა და ოლიმპიადებზე. სკოლას სასიკეთოდ წაადგა ბაგაბაღი. ადრე იგი შეუფერებელ, ყოფილი სასკოლო ინტერნატის ერთ ფლიგელში იყო განთავსებული. ახლა საუკეთესო სკოლამდელ დაწესებულებად ითვლება.

პენსიონერი პედაგოგი მოიკითხეს

მომავალი თაობის აღზრდის საქმეს წლები შეალია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანის მკვიდრმა სოსო ბერიძემ. პედაგოგიურ ჯილდოზე გასული, პირად მეურნეობაში ფუსფუსებს, სოფელს ვერ ელევა, 90 წელს მიტანებულს არც ფიზიკური შრომა უჭირს.

„მასწავლებელთა კვირეულის“ დღეებში, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი კეკელიძე და ფრიდონ ფუტკარაძე წაბლანის საჯარო სკოლის ყოფილ, ღვაწლმოსილ პედაგოგ სოსო ბერიძეს ოჯახში ეწვივნენ. მას ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის მადლობის სიგელი გადასცეს, მხნეობა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს.

სოსო ბერიძე 60 წლის განმავლობაში პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იყო სოფელ წაბლანის ხელმძღვანელი, შუახევის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, 20 წლის განმავლობაში წაბლანის სკოლაში დირექტორად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იმუშავა. მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, სამთავრობო ჯილდოები, მიღებული აქვს არაერთი მადლობის სიგელი.



წყაროთაში წყლის დეფიციტია, ცხემლისში - მოსავალს მხეცები ანადგურებენ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, ისევ განახლდა აჭარის მთავრობის, უმაღლესი საბჭოს წევრების, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების შეხვედრები მოსახლეობის წარმომადგენლებთან. შუახევის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში - წყაროთასა და ცხემლისში საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძეს, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილე არჩილ ბერიძეს, შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებს ომარ ტაკიძეს, როსტომ ლორთქიფანიძეს, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრ ფრიდონ ფუტკარაძეს.

შეხვედრაზე საუბარი იყო იმ პროექტებსა და პროგრამებზე, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ამ ორ სოფელსა და ჭვანის ხეობაში ხორციელდება. კერძოდ, ესენია: ოთოლოთას ციხის რესტავრაცია-კონსერვაცია, წისქვილების სოფლის მოწყობა ხაბელაშვილებში, ხაბელაშვილები-ჯვარის მინდორის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია და ბეტონის საფარის დაგება, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება ხიჭაურინაღვარევის საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთზე. გარდა ამისა, დაწყებულია სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა. მოსახლეობის ერთი ნაწილი სარგებლობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროების, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამებით.

ერთ დროს მოუწესრიგებელი ცხემლისის ცენტრი ახლა სანიმუშოდ გამოიყურება, თუმცა შეხვედრის მონაწილეებს ერთი სამადლობელი სიტყვაც არ დასცდენიათ ამ პროექტზე. შეხვედრაზე მოსული წყაროთელი ტარიელ გოგრაჭაძე, გელა მუავანაძე, დალი დავითაძე, ჭალელი ზურაბ ვაშაყმაძე, ჭვანელი სულიკო ზოიძე, ვარჯანაულელი ლევან კილაძე, ცხმელისელი ახმედ ციციანი ყურადღებას მოუგვარებელ საკითხებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე ამახვილებდნენ. ითქვა, რომ ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხის უმოქმედობის გამო წყაროთელ და ახალდაბელ ფერმერებს გვალვამ წლის მოსავალი გაუნადგურა. ისევ ძვირია მედიკამენტების ფასები, თურქეთიდან შემოტანილი იაფი მედიკამენტები კი მოსახლეობამდე ვერ აღწევს, პაციენტებს ქალაქ ბათუმის სამკურნალო დაწესებულებებში გამოსაკვლევად მიმართვის გაცემაზე პრობლემები ექმნებათ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რატომღაც შენელდა ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. სოფლებში წამლობები საერთოდ მიივიწყეს. შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მხოლოდ გზისპირებზე ტრანსპორტს ჩამოატარებენ და საქმეს მოთავებულად მიიჩნევენ. საშველი არ დაადგა ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ თესლოვანი ხილის რეალიზაციას. შემოსულ მოსავალს (თხილს, მსხალს, კენკროვნებს) დათვები ანადგურებენ, ზვრებს ტურები შეესივნენ, მომრავლებული დათვები შინაურ პირუტყვსაც გლეჯენ. ისევ პრობლემად რჩება წარმოებული თამბაქოს რეალიზაცია. წესრიგი არ დამყარდა სამასალე ხე-ტყით სარგებლობის ბილეთების გაცემაში.

- მოსახლეობას შევხვდით, რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად არსებული პრობლემები მოვისმინეთ და მათი გადაწყვეტისთვის დროულად ვიზრუნებთ, - თქვა შეხვედრის დასასრულს ომარ ტაკიძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

რა სიახლეები ელოდებათ ახალგაზრდებს ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრში?

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის ახალგაზრდული ცენტრი ყოველთვის ორიენტირებულია ახალი თაობის წარმომადგენელთა ინტერესებზე, მაქსიმალურად ერგება მათ მოთხოვნებს, სურვილებსა და საჭიროებებს. ახლახან ცენტრმა დაგეგმა არაერთი ღონისძიება და პროექტი, რომელიც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ხელვაჩაურში მცხოვრებ ახალგაზრდებს, იპოვონ საკუთარი თავი და ადგილი სოციუმში, მიიღონ ის განათლება და ინფორმაცია, რაც სამომავლოდ დასჭირდებათ და, რაც მთავარია, იპოვონ თანატოლები, რომლებიც მათი თანამოაზრეები გახდებიან.

სიახლეებზე, მიმდინარე და სამომავლო აქტივობებზე ხელვაჩაურის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი **ნატა ხინკილაძე** *გვესაუბრება.*

- რა სიახლეები ელოდებათ ახალგაზრდებს?

- უკვე გამოვაცხადეთ რეგისტრაცია და შემდეგი კვირიდან აქტიურად განვაახლებთ ლიტერატურული კლუბის მუშაობას. მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად დაგეგმილია ლიტერატურული განხილვები, რომელიც ლიტერატურული ვიქტორინითა და შესაბამისად, ახალგაზრდების წახალისებით დასრულდება. ლიტერატურულ კლუბში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდაა გაწევრიანებული. წიგნების შერჩევა სწორედ მათთან და სპეციალისტებთან კონსულტაციების საფუძველზე ხდება. როგორც შემდგომში აღნიშნავენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საკმაოდ ეხმარება მათ ამ კლუბის წევრობა და აქ მიღებული ინფორმაციები. ახალგაზრდებს ელოდებათ საინტერესო ტრენინგები პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების, საჯაროდ გამოსვლის, ხელოვნების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და სხვა თემებზე, კინოკლუბის ფარგლებში გაიმართება კინოჩვენებები და განხილვები მოწვეულ კინომცოდნეებთან ერთად, მრავალფეროვანი შემოქმედებითი და საინტერესო აქტივობები. ისინი უკვე დაგეგმილია და განხორციელებას შემდეგი კვირიდან ვიწყებთ.

- როგორ ფიქრობთ, რომელია ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ახალგაზრდებს აუცილებლად სჭირდებათ?

- პროექტები, რომლებიც ახალგაზრდობის ცენტრში ხორციელდება, ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებს, მათ სურვილებს, მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს, რომლებზეც თავად გვესაუბრებიან, გვწერენ. მათთვის პრიორიტეტული უფრო ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებია. მაგალითად, ინტელექტუალური მარათონები, ვიქტორინები, შემეცნებითი ტურები, საკვირაო სკოლები. მიმდინარე წელს, პირველად განვახორციელეთ საკვირაო სკოლა თემაზე: „იპოვე შენი მომავალი პროფესია“. აღნიშნული სკოლა აბიტურიენტების სურვილის შესაბამისად მოეწყო და დიდი მოწონება, ინტერესი გამოიწვია. ელოდებიან სამომავლოდაც, როდის დაიწყება მიღება და თანატოლებს ურჩევენ მონაწილეობას.

- როგორც ვიცით, ახალგაზრდების მიერ 2022 წელს წარმოდგენილი ინიციატივების განხორციელება დასრულდა, ამაზე რას გვეტყვით?

- ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი ინიციატივების დაფინანსება და განხორციელება ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ღონისძიებების ფარგლებში უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდებს, დამოუკიდებლად დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები ადგილობრივი თვითმმართველობის, ამ შემთხვევაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, იყვნენ აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავიანთი, თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანონ სასიკეთო საქმეში. მიმდინარე წელს განხორციელდა საკმაოდ მრავალფერივანი შინაარსის პროექტები: არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, ეკოლოგიის, პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავების, ქართული მწერლობის პოპულარიზაციის მიმართულებებით. ეს პროექტები ახალგაზრდებმა ხელვაჩაურის საჯარო სკოლებში განახორციელეს, მათში ჩართული იყვნენ სკოლის მოსწავლეები.

- თუ აქტიურობენ ახალგაზრდები და რამდენად მაღალია მომართვიანობა თქვენს ცენტრში გასაწევრიანებლად?

- წლის დასაწყისში რეგისტრაცია რომ გამოვაცხადეთ, 10 დღის განმავლობაში 100 ახალგაზრდა დარეგისტრირდა... ეს ტემპი, შეიძლება ითქვას, არ შენელებულა. თითოეული ახალი პროექტი ახალი მიდრეკილებებისა და ინტერესების მქონე ახალგაზრდების ნაკადის შემოდინებას იწვევს, რომლებიც ერთი დიდი ოჯახის - ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრები ხდებიან.

- რატომ უნდა გაწევრიანდეს ახალგაზრდა „ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრში“?

- იმიტომ, რომ გახდნენ იმ დიდი ოჯახის წევრები, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უამრავ აქტიურ ახალგაზრდას აერთიანებს; იმისთვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (ახალგაზრდობის ცენტრის) მხარდაჭერით, ხელი შეუწყონ საკუთარი ინტელექტუალური, მორალური, შემოქმედებითი და ფიზიკური პოტენციალის განვითარებას, საკუთარი მიდრეკილებების გააზრებას, ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აქტიურად ჩართვას და, რაც მთავარია, იმისთვის, რომ „იყვნენ აქტიური ახალგაზრდები“.

- კიდევ ერთხელ შევახსენოთ მათ, როგორ გახდნენ თქვენი ცენტრის წევრები?

- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში გაწევრიანება შეიძლება როგორც ონლაინპლატფორმის საშუალებით აპლიკაციის შევსებით, ასევე, ახალგაზრდობის ცენტრში გასაწევრიანებელი ბლანკის შევსების გზით.

> *„პროექტები, რომლებიც ახალგაზრდობის ცენტრში ხორციელდება, ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებს, მათ სურვილებს, მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს, რომლებზეც თავად გვესაუბრებიან, გვწერენ. მათთვის პრიორიტეტული უფრო ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებია. მაგალითად, ინტელექტუალური მარათონები, ვიქტორინები, შემეცნებითი ტურები, საკვირაო სკოლები*

- როგორ დაიწყო „ხელვაჩაურის ახალგაზრდული ცენტრისთვის“ ახალი სასწავლო-სამუშაო წელი?

- როგორც წესი, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ღონისძიებები მორგებულია ახალგაზრდების საჭიროებებზე და მისწრაფებებზე. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დროის მონაკვეთში განსხვავებული მიდგომით ვგეგმავთ აქტივობებს. მაგალითად, ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში ვცდილობთ აქტივობები მიმართული იყოს სტრესის დაძლევის ხელშეწყობისკენ, მეტი კომუნიკაციისა და განტვირთვისკენ. ზაფხულში ლაშქრობებით, ექსკურსიებით, კინოჩვენებებით შემოვიფარგლეთ და შემოდგომის პირველი კვირაც ექსკურსიით დავიწყეთ. ეს იყო ერთგვარი გარდამავალი ღონისძიება და ახალი სეზონის პოზიტიური დასაწყისი.

- გასვლები რეგიონის გარეთაც გაქვთ?

- დიახ, რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდით ზუგდიდში. შემეცნებითი ექსკურსია აქტიური ახალგაზრდების წასახალისებლად, მათი სურვილის გათვალისწინებით მოეწყო. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგამოფენო სივრცეები, მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატები და მოწვეული გიდისგან მოისმინეს საინტერესო ისტორიები დადიანების მოღვაწეობის შესახებ.



უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, ომის დაწყებიდან დღემდე უკრაინელებმა დაახლოებით 61 000 რუსი ჯარისკაცის ლიკვიდაცია განახორციელეს. მათივე მონაცემებით, ბოლო 24 საათის განმავლობაში ლიკვიდირებული რუსი სამხედროების რაოდენობა 200-ია. უკრაინაში შეჭრის დღიდან რუსების საერთო დანაკარგები კი მოიცავს: 2435 ტანკს, 5038 ჯავშანტექნიკას, 1414 ერთეულ საარტილერიო სისტემას, 266 საბრძოლო თვითმფრინავს და 232 ვერტმფრენს.

* * *

ევროკომისიამ უკრაინას ატომური ელექტროსადგურების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობისთვის ხუთი მილიონი იოდის ტაბლეტი გადასცა. ამის შესახებ ევროკომისარმა ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში იანეს ლენარჩიჩმა განაცხადა. „კორონავირუსის პანდემიის დროს უკვე ვისწავლეთ, რომ მხოლოდ კრიზისის შემთხვევაში რეაგირება არ შეიძლება. ამიტომ, ახლა ვცდილობთ მომავალი კრიზისების პროგნოზირებას და, უნდა ითქვას, რომ ჩვენი პროგნოზი წარმატებული იყო, რადგან ომამდეც ვემზადებოდით ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საგანგებო სიტუაციებისთვის. ახლა ჩვენ შევძელით იოდის ხუთი მილიონი ტაბლეტის მიტანა უკრაინაში ატომური ელექტროსადგურების სიახლოვეს მცხოვრებთათვის“, - განაცხადა იანეს ლენარჩიჩმა. მისი თქმით, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ირგვლივ ყველა საომარი მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

* * *

უკრაინის არმია საკმაოდ სწრაფ და ძლიერ წინსვლას აწარმოებს სამხრეთში, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „წინა ხაზიდან კარგი ამბები არის. პირველი: უკრაინის არმია მიმდინარე თავდაცვითი ოპერაციის ფარგლებში საკმაოდ სწრაფ და ძლიერ წინსვლას აწარმოებს ჩვენი ქვეყნის სამხრეთში. რუსული ფსევდორეფერენდუმისგან მხოლოდ ამ კვირას უკვე რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტია გათავისუფლებული“, - განაცხადა ზელენსკიმ. მან დააკონკრეტა, რომ საუბარია დონბასზე და ხერსონის, ხარკოვის, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებზე.

* * *

კიევის ოლქის ქალაქ ბილა-ცერკვას რუსი ოკუპანტები „კამიკაძე“ დრონებით დაესხნენ თავს, - ამის შესახებ კიევის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლექსი კულებამ განაცხადა. „გვაქვს ინფორმაცია ბილა-ცერკვაში რამდენიმე აფეთქების შესახებ. წინასწარი მონაცემებით, ქალაქს თავს „კამიკაძე“ დრონებით დაესხნენ. ამის გამო ინფრასტრუქტურულ ობიექტებში ხანძარი გაჩნდა. დაშავებულია ერთი ადამიანი“, - წერს კულება. მისი თქმით, ადგილზე უკვე მობილიზებულია საგანგებო სიტუაციების სამსახურები.

* * *

ხერსონის ოლქში უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, ოკუპანტებისგან კიდევ ოთხი დასახლებული პუნქტი: არხანგელსკი, სტაროსილია, ბოლშაია ალექსანდროვკა და მალაია ალექსანდროვკა გაათავისუფლეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედროების ვიდეოანგარიშებშია აღნიშნული. „გუშინ ჩვენი კრივოი როგის ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის მებრძოლებმა გადაიღეს ფოტოები ხერსონის საზამთროს ძეგლთან და მათ მიერ დაშლილი რუსული ბლოკპოსტების მახლობლად და გაათავისუფლეს დასახლებები: არხანგელსკი, სტაროსილია, ბოლშაია ალექსანდროვკა და მალაია ალექსანდროვკა“, - აღნიშნულია ვიდეოს კომენტარში. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევგენი ენინმა განაცხადა, რომ ხერსონის ოლქში უკვე 50 დასახლებულ პუნქტზე მეტია დეოკუპირებული.

* * *

უსაფრთხოების სფეროშო აშშ-ის ახალი 625 მილიონდოლარიანი დახმარების პაკეტი დაგვეხმარება ჩვენი მიწის კიდევ უფრო ეფექტურად გათავისუფლებაში, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი „ტვიტერზე“ წერს. მისი თქმით, „წარმატებული შეტევისთვის საუკეთესო ჯილდო უკრაინული არმიისთვის არის გათავისუფლებული უკრაინელების სიხარული“. რეზნიკოვი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, თავდაცვის მინისტრ ლოიდ ოსტინსა და შეერთებული შტატების მოქალაქეებს დახმარებისთვის მადლობას უხდის. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის 4 ოქტომბერს გამართულ სატელეფონო საუბარში აცნობა, რომ შეერთებული შტატები კიევს უსაფრთხოების სფეროში 625 მილიონი დოლარის მოცულობის ახალ დახმარებას გამოუყოფს. თეთრი სახლის ინფორმაციით, დახმარება მოიცავს დამატებით იარაღს და აღჭურვილობას, მათ შორის HIMARS-ს, საარტილერიო სისტემებს, საბრძოლო მასალას და ჯავშანმანქანებს.

* * *

რუსეთის მიერ ოკუპირებული ყირიმის ქალაქ ევპატორიაში სამედიცინო დაწესებულებებს არ გააჩნიათ სამედიცინო აღჭურვილობა დაჭრილი ოკუპანტების სამკურნალოდ, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, ლუგანსკის ოლქიდან მამაკაცები, სამედიცინო კომისიის გავლისა და წვრთნის გარეშე, მობილიზაციის შემდეგ დაუყოვნებლივ იგზავნებიან იმ ქვედანაყოფების შესავსებად, რომლებმაც ყველაზე დიდი დანაკარგები განიცადეს. რაც შეეხება ხერსონის ოლქს, გენშტაბის ცნობით, „დასახლებული პუნქტების დატოვებისას მტერი ახორციელებს ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და კერძო სახლების დანაღმვას“. უკრაინის გენშტაბის ცნობით, გასული დღის განმავლობაში რუსებმა განახორციელეს 9 სარაკეტო და 6 საჰაერო დარტყმა, ასევე 56-ზე მეტი შეტევა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების გამოყენებით. დარტყმის შედეგად 27-ზე მეტ დასახლებაში ობიექტები და მოსახლეობა დაზარალდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

გალერეის მომლოდინე ტილოები...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ხუთი წლის წინ ახალგაზრდა ხელოვანებმა, რეჟისორმა ოთარ ქათამაძემ და მხატვარმა ირმა სურმანიძემ გადაწყვიტეს, ალტერნატიული ხელოვნება, რომელიც მიაჩნდათ, რომ იმ დროისთვის მიჩქმალული იყო, წინა პლანზე წამოეწიათ და მისი პოპულარიზაციის მიზნით ფესტივალი დაეარსებინათ. თავდაპირველად ვიზუალური მიმართულებით წავიდნენ და მხატვრებს მისცეს საშუალება, დიდ ტილოებზე, რომლის ფორმატიც 2/20-ია, დაეხატათ, შემდეგ გაუჩნდათ იდეა, მეტი მრავალფეროვნებისათვის პროცესში მწერლები ჩართულიყვნენ, რომლებიც მხატვრობის ინსპირაციით დაწერდნენ ტექსტებს, ამას მოჰყვა მუსიკოსების, რეჟისორებისა და მსახიობების შემომატება, რამაც კიდევ უფრო საინტერესო და ინოვაციური გახადა პროექტი.

წელს „ლაბორატორია 2/20-მა“ სამი პერფორმანსი: „ბმა“ „Dreamland“-ი და „გზა“ წარმოადგინა. პირველი წარმოდგენა ბათუმის დრამატული თეატრის მცირე სცენაზე დაიწყო, ბათუმის ცირკში გაგრძელდა და ხელოვნების უნივერსიტეტში დასრულდა. ადგილმდებარეობის ცვლილებასთან ერთად, ადამიანებს მიეცათ საშუალება, ჰქონოდათ უფრო მეტი დრო იმ ემოციებსა და განცდებში სამგზაუროდ, რაც შემოქმედი ადამიანების კოლაბორაციის შედეგად შეიქმნა.

პერფორმანსის „ბმა“ მონაწილე მსახიობი ანა პატარაია ამბობს, რომ ფესტივალის დაარსების დღიდან მისი ერთგული მაყურებელია და თვალს ადევნებს ყველა იმ საინტერესო და სასიამოვნო პროცესს, რომელიც „ლაბორატორია 2/20“-ის ფარგლებში იქმნება.

- აღნიშნული ფესტივალი დაწყებისთანავე გახდა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან, დამეთანხმებით, ბათუმში მსგავსი პროექტები ხუთი წლის წინ იშვიათობა იყო. აღტაცებას იწვევდა მხატვრების, მუსიკოსების, მწერლების, რეჟისორების ერთობლივი მუშაობა, რომელსაც ძალიან სწორი ემოციები, იმპულსები მოჰქონდა ადამიანებამდე. არ მახსოვს, გამეცდინოს და ხელიდან გამეშვას შანსი სიამოვნების, რომელსაც „ლაბორატორია 2/20“ მიქმნის. ამისთვის მადლობას ვუხდი ოთო ქათამაძეს და მასთან ერთად ბევრ ადამიანს. პროექტში ჩემი ჩართულობა სპონტანურად მოხდა, მხოლოდ ერთი დღე მქონდა მოსამზადებლად. ძალიან ვინერვიულე, რადგან საპასუხისმგებლო იყო ეს ნდობა ჩემთვის, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არ ვარ, მით უმეტეს - შემდგარი მსახიობი. მინდოდა, როგორც მეგობარი, გვერდში დავდგომოდი ოთოს, ადამიანს, რომელიც ბათუმისთვის ძალიან ბევრ სასიკეთო რამეს აკეთებს. ჩემთვის აღნიშნულ პერფორმანსში მონაწილეობა იყო რაღაც ახლის გაცნობა, მსოფლმხედველობის არეალის გაზრდა. გავიცანი ახალი ადამიანები, შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებიც ახლებურად, სხვა კუთხით გაჩვენებენ სამყაროს, ყოველდღიურობას. პერფორმანსი, რომელშიც მივიღე მონაწილეობა, ოთო ქათამაძემ დადგა. ეს იყო ჩარჩოდან გასვლაზე, თავისუფლებაზე, სამყაროს უფრო მასშტაბურ აღქმაზე და ეს განსაკუთრებით მომეწონა, რადგან პერსონაჟი, რომელზეც დარბაზში დამსწრე საზოგადოებას ვუყვებოდი, ძალიან მგავდა, თუ

ნდაც თავისუფლების აღქმაში, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, - გვითხრა ანა პატარაიამ.

წელს ფესტივალზე 3-3 ტილოთი სამი მხატვარი წარსდგა. გაზეთ „აჭარასთან“ შთაბეჭდილებები გაგვიზიარა მხატვარმა ირინა ტორონჯაძემ, რომელმაც პერფორმანსში „გზა“ თავისი სამი ტილო წარადგინა.

- როდესაც ასე დადებითად არის დამუხტული შემოქმედებითი პროექტი, ვფიქრობ, ყოველთვის კარგია ქალაქისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ჩემთვის სასიამოვნო იყო ფესტივალის თითოეული დღე. ძალიან დიდი მადლობა ხელოვანებს, რომელთა შემოქმედებამ კიდევ უფრო მეტი სტიმული მომცა, რომ ჩემი ემოციები, ფიქრები, სათქმელი გადავიტანო მხატვრობაში, - აღნიშნა ირინა ტორონჯაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, „ლაბორატორია 2/20“ უკვე მეხუთე წელია იმართება. პანდემიიდან გამომდინარე, წინა ორი წლის განმავლობაში ფესტივალი ვიდეოარტების საშუალებით წარიმართა, თუმცა წელს ის თავდაპირველ ფორმატს დაუბრუნდა, რაც საზოგადოებისათვის ხელოვანთა კოლაბორაციის შედეგად შექმნილი პერფორმანსების ჩვენებას გულისხმობს. როგორც პროექტის ავტორმა და ორგანიზატორმა, რეჟისორმა და მსახიობმა ოთარ ქათამაძემ აღნიშნა, სამწუხაროა, რომ სამივე პერფორმანსის ჩვენება, მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთხელ გაიმართება ბათუმში. მისივე თქმით, წელს რეკორდულად დაბალი ბიუჯეტით შეძლეს ჩაეტარებინათ ფესტივალი და არ ეღალატათ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაარსების დღიდან გულშემატკივრობენ მათ.

- წელს ფინანსების საკითხი იმგვარად იყო დასმული, ვფიქრობდით, რომ არ ჩაგვეტარებინა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მეხუთე წელია, არ გვინდოდა ჩავარდნილიყო ფესტივალი და მართლა ბოლო თეთრები ამოვიღეთ საკუთარი ჯიბეებიდან. უმადური არ ვიქნები და აქვე ვახსენებ, რომ ფინანსური მხარდაჭერა, ის მცირედიც კი, ქალაქის მერიიდან მივიღეთ, თუმცა სხვა წლებში ამას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებდა, წელს კი რატომღაც არ დააფინანსეს და ფორმატის შეცვლა მოგვთხოვეს. ფესტივალის ფორმატის შეცვლა არ ვიცი, რას ნიშნავს. ოთხი წლის განმავლობაში თუ აკმაყოფილებდათ ფორმატი, მეხუთე წელს რატომ ვერ დააკმაყოფილა? ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, მაგრამ, ზოგადად, თავიანთი ინტერესების მიხედვით რომ ირჩევენ პირებს, ვის დააფინანსებენ და ვის - არა, ეს ცალსახაა და ჩანს, კრიტერიუმები ყველამ

ვიცით, როგორც დგება. პოლიტიკური ხედვიდან გამომდინარე, ვინ რას ამბობს, რა სტატუსებს აქვეყნებს, განისაზღვრება ყველაფერი. რეგიონის ბიუჯეტი აჭარის მოსახლეობის გადასახადებით ივსება და აჭარის მოსახლეობა ოპოზიციურიც არის და პოზიციურიც. რა კრიტერიუმით არჩევ და მირჩევ მე, იქიდან გამომდინარე, რისი გამკეთებელი ვარ, თუ იქიდან გამომდინარე, ვისი მეხოტბე ვარ? აი, ამაშია პრობლემა და სწორედ ეს ღუპავს ხელოვნებას. ხვალ, როცა საზოგადოებისგან მიიღებენ ბუმერანგივით „დარტყმას“, მერე დასვან კითხვა, რაში იყო საქმე. მე პასუხი მზად მექნება. სწორედ ხელოვანები იქნებიან პირველები, ვინც მათ მიუბრუნებენ პასუხს, აუცილებლად მოვა დრო, როცა ისინი პასუხს აგებენ ამ ყველაფრისათვის, - განაცხადა ოთარ ქათამაძემ. მან, ასევე, ისაუბრა „ლაბორატორია 2/20“-ის მიმართ თავის დამოკიდებულებაზე.

- ეს ფესტივალი ძალიან მიყვარს იქიდან გამომდინარეც, რომ არასდროს იცი, რას უნდა ელოდო მისგან ბოლო წუთამდეც კი. ფესტივალი არის უნიკალური, ქმნის ისეთ საინტერესო პროდუქტს, რასაც სხვაგან ვერ ნახავ. ეს არ არის სპექტაკლი, ეს არ არის ტიპური წარმოდგენა, ეს არის კოლაბორაციული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც არის საინტერესო. ფესტივალმა დაარსებიდან დღემდე დიდი და საინტერესო შედეგები დადო, და, რაც მთავარია, „ლაბორატორია 2/20“-ის ფარგლებში დახატული იმდენი ტილო დაგვიგროვდა, ერთ დიდ გალერეას გავავსებდით, რაც ოცნებად გვექცა. ვსაუბრობთ, ვსაუბრობთ, ვითხოვთ გალერეას, მაგრამ აზრი? „ქარავანი მიჰქრის“, - განაცხადა ოთარ ქათამაძემ.

ქართულ-პოლონური ფესტივალი

მეგობრობის საღამოების სითბო

მანანა ჟიჟიშვილი 598 24 94 97

საქართველოსა და პოლონეთს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და პოლონეთის ქვემო სილეზიას, ბათუმსა და ვროცლავს შორის მეგობრული ურთიერთობა წლებს ითვლის. ერთობლივი მემორანდუმის საფუძველზე ეს ურთიერთობა გრძელდება და ბოლო წლებია, კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. მის ფარგლებში ხან ჩვენი წარმომადგენლები ჩადიან პოლონეთში, ხან ისინი გვსტუმრობენ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, ამჟამად პოლონელები იმყოფებიან ჩვენთან. ქართულ-პოლონურ ფესტივალზე ორმა კოლექტივმა ბათუმში ორ-ორი კონცერტი გამართა - ბათუმის ხელოვნების ცენტრსა და ბათუმის რევაზ ლაღიძის სამუსიკო თერთმეტწლედის დიდ საკონცერტო დარბაზში. ფესტივალი ხელს უწყობს ქართული და პოლონური კულტურის დაახლოებას, პოპულარიზაციას, ორი ქვეყნის კულტურული ღირებულებების უკეთ გაცნობას, სახელოვნებო წარმომადგენლების ერთმანეთთან დაახლოებას.

პირველი ორი დღე დაეთმო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში არიან ზბიგნევ ლევანდოვსკი (დასარტყამი ინსტრუმენტები), იანუშ ნიუკელი (ვიოლინო), ლუკაშ პერეკი (ფორტეპიანო/კლავიში), იაკუბ ოლეინიკი (ბას-გიტარა), ჯაცეკ სზრენიავა (ელექტროგიტარა). ჯგუფი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვიდა. ეს იყო შესანიშნავი საღამო. სტუმრების მიერ შემოთავაზებული ანტონიო ვივალდის „ოთხი დრო“ სტუმრებმა მასპინძლებთან ერთად სულ სხვა - ჯაზურ სტილში შეასრულეს. თითოეული მუსიკოსის სოლო გამოსვლა, ისევე, როგორც მთლიანი კონცერტი, გულთბილად მიიღო მსმენელმა. პროფესიონალი მუსიკოსებისგან შექმნილი ჯგუფი, მართალია, სულ რამდენიმე წელს ითვლის, მაგრამ პოლონეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. საღამოზე სტუმრები და მასპინძლებიც შესანიშნავად წარსდგნენ და მსმენელმაც სათანადოდ დააჯილდოვა ტაშით. კონცერტის დაწყებამდე მათ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე მიესალმა. როგორც აღინიშნა, წელს ჩვენი ხუთი მხატვარი იმყოფებოდა პოლონეთში. ვროცლავის შესანიშნავ საგამოფენო დარბაზში დღესაცაა 14 ბათუმელი მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი, რომლის ნახვის შესაძლებლობა პოლონელებს თვის ბოლომდე ექნებათ.

საქართველოსა და პოლონეთის მეგობრობითა და სითბოთი იყო განმსჭვალული კიდევ ორი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთის ანსამბლი „ჰეიშოვინა“ (ხელმძღვანელი - მაჩეკ კიერესი) და ჩვენი სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმი“. რამდენიმე სიმღერა ცალ-ცალკე შეასრულეს ანსამბლებმა. შემდეგ ერთადაც გვიმღერეს „სიმღერა ბათუმზე“, რომელსაც პოლონელი გოგონები (ანსამბლი „ფილიპინკები“) ასრულებდნენ დიდი ხნის წინ. მას ახლაც დიდი სიყვარულით მღერიან. „ჰეიშოვინამ“ არაჩვეულებრივად შეგვისრულა რევაზ ლაღიძის უკვდავი „სიმღერა თბილისზე“, ასევე პოლონური ფოლკლორი.

- პოლონელი და ქართველი ხალხის მეგობრობას მიეძღვნა აქაური საღამოები. 23-30 აგვისტოს ჩათვლით ჩვენი ანსამბლი პოლონეთში იმყოფებოდა, სადაც იქაური ცნობილი კომპოზიტორის სტანისლავ მონიუშკოს საფესტივალო დღეებში მივიღეთ მონაწილეობა. სოლისტებმა პაატა ჭურკვეიძემ, იადონ მახარაძემ, სულხან ჯაიანმა მონიუშკოს სამი რომანსი შეასრულეს პროფესიონალურ დონეზე. გულთბილად მიიღეს პოლონელებმა მათი ნამღერი. შემდეგ ანსამბლმა სამი ცნობილი პოლონური სიმღერის პოპური შეასრულა. უნდა გენახათ, რა ხდებოდა დარბაზში. საერთოდ, პოლონელი მაყურებელი მუდამ გულთბილად გვხვდება. ულამაზესი მეგობრობა აკავშირებთ პოლონეთსა და საქართველოს. ასე იყო ადრე და ასე იქნება მუდამ. ამას დაემატა აჭარასა და ქვემო სილეზიას, ვროცლავსა და ბათუმს შორის გულთბილი ურთიერთობები, ჩვენთვის უახლოესი, უძვირფასესია „ჰეიშოვინა“. ჩვენ მეგობრები ვართ. ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათ არაფერი ეშლებათ არც მასპინძლობაში, არც ორგანიზაციულ საკითხებში. გული მტკივა და არ შემიძლია, არ ვთქვა აქაურ კონცერტებზე - დარბაზები თითქმის ცარიელია, მაშინ, როცა იქ ჩვენს კონცერტებზე ხალხი დარბაზებში ვერ ეტევა, ფეხზე დგას და ეს დარბაზები არის 800, 1000, 1500-კაციანი. დღესაც ლამაზი სიმღერები წარმოგვიდგინეს მათ. ჩვენი, ქართველების პოლიფონია ცოტათი სხვანაირია. მათი განსხვავებულია, მაგრამ მაინც კარგად და სასიამოვნოდ ისმინება. - გვითხრა ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტმა, ქორმაისტერმა, პროფესორმა ნოდარ ვარშანიძემ.

იხ. მე-7 გვ.

საქართველო – ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერი

მსოფლიო ბანკმა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა გამოაქვეყნა, რომელშიც წარმოდგენილია რეგიონისა და მასში შემავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზები უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და პანდემიის შედეგების ზემოქმედების პირობებში. ანგარიშის თანახმად, 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი მოსალოდნელი 5,5 პროცენტის ნაცვლად 8,8 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

ამასთან, ამავე ანგარიშით, სამხრეთ კავკასიაში 2022 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა 5,6 პროცენტით გაიზრდება - რაც უსწრაფესია ევროპის და ცენტრალური აზიის ქვერეგიონებს შორის.

„2023 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა შენელდება სავარაუდოდ, 4.2 პროცენტამდე, რაც ასახავს 2022 წელს მძლავრი აღდგენის სტიმულის შესუსტებას, ევროკავშირში ეკონომიკური ზრდის შემცირებას და 2023 წელს რუსეთში წარმოებული პროდუქციის მოცულობის მოსალოდნელზე მკვეთრ ვარდნას.

2023 წელს მოსალოდნელია ფასების ზრდის ტენდენციის კლება, რადგან მოთხოვნა შემცირდება და გრძელვადიანი ფიქსირებული ფასის კონტრაქტები, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს საქართველოში ენერგომატარებლების ფასით გამოწვეული შოკების შერბილებას“, - აღნიშნულია მსოფლიო ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სებასტიან მოლინეუსმა აღნიშნა: „ამ ფონზე ვხედავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვერეგიონში აღინიშნება საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური ზრდა და 2022 წელს პროდუქციის მოცულობა 5,6 პროცენტით გაიზრდება, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის მასშტაბით. რაც შეეხება საქართველოს, ვხედავთ ეკონომიკური ზრდის 8,8-პროცენტიან მაჩვენებელს, რომელიც ამ მომენტისთვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მთლიანად ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ეს მეტწილად განპირობებულია ადგილობრივი მოთხოვნის და ფულადი გადარიცხვების მატებით, ისევე როგორც ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის ზრდით. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ როგორც საქართველოს მთავრობამ, ისე ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნონ სიფხიზლე. რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, თუ ინფლაცია გაიზრდება და, რა თქმა უნდა, მთავრობას ვურჩევთ, შეინარჩუნოს წინდახედული მიდგომა ფისკალური თვალსაზრისით და გამოიყენოს ნებისმიერი დამატებითი შემოსავალი, რათა შეამსუბუქოს გარკვეული ფისკალური ტვირთი“.

ამირან გურიელიძე

პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, ლევან დავითაშვილს მოუსმენენ

დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი უწყების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშით გამოვა.

„მინისტრის საათი“ საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც მთავრობის წევრის მიერ წელიწადში ერთხელ პლენარულ სხდომაზე მისვლას და სამთავრობო პროგრამის შესაბამისი მიმართულების შესრულების შესახებ მოხსენებით გამოსვლას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ მინისტრის მოხსენების შემდეგ კითხვა-პასუხისა და დებატების პროცედურა იმართება.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

დავით ზოიძე

გარდაიცვალა ცნობილი ექიმი, ათეულობით წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრი დავით ზოიძე.

1957 წელს, შუახევის საშუალო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულმა, წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმუშავა მაღალმთიანი ხულოსა და შუახევის რაიონებში, ხელმძღვანელობდა პედიატრიულ სამსახურს. 1966-1969 წლებში სწავლობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში, პედიატრიის კათედრაზე პროფესორ ირაკლი ფაღავას ხელმძღვანელობით. ნიჭიერი, შრომისმოყვარე და უაღრესად კეთილსინდისიერი ახალგაზრდა ექიმი ბატონმა ირაკლიმ სამუშაოდ დატოვა კათედრაზე, საიდანაც, რაიონის ხელმძღვანელობის თხოვნით, დავით ზოიძე სამუშაოდ გადაიყვანეს შუახევის რაიონის მთავარ ექიმად. შემდეგ დააწინაურეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ პედიატრად. ორათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იღვაწა დავითმა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე საქმის ცოდნით, თავდადებით, მოზარდი თაობის სიყვარულით. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აჭარაში პედიატრიულ სამსახურს მოწინავე პოზიციები ეჭირა, იყო აღიარებული და დაფასებული. დავით ზოიძე დაჯილდოებული გახლდათ ღირსების ორდენითა და მედლით, მიღებული აქვს მრავალი სიგელი, მადლობის წერილი, პრემია.

დავით ზოიძე აჭარის ყველა საავადმყოფოში და თითქმის ყველა ოჯახშია ნამყოფი ავადმყოფი პატარის საკონსულტაციოდ. მის ცოდნას და გამოცდილებას მრავალი ბავშვის სიცოცხლე გადაურჩენია, ამიტომაც გულწრფელად უყვარდათ დათო ექიმი, რასაც თავად ყველაზე დიდ ჯილდოდ მიიჩნევდა.

დავით ზოიძე სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ქ. თბილისში №7 ბავშვთა პოლიკლინიკის განყოფილების გამგედ, ბავშვთა №9 საავადმყოფოში - რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების გამგედ, თბილისის №1 საავადმყოფოს ბავშვთა მიმღები განყოფილების პედიატრად, საქართველოს განათლების სამინისტროს ექიმ-მეთოდისტად. იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა - იყო საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის გამგის მოადგილე, ასისტენტი, კითხულობდა ლექციებს პედიატრიაში, კარდიოლოგიაში, რევმატოლოგიაში, მინიჭებული ჰქონდა პედიატრის უმაღლესი კატეგორია.

დავით ზოიძის ოჯახის ყველა წევრი ექიმია - მეუღლე რუსუდან ლორია ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ ლაბორატორიული განყოფილების გამგეა, უფროსი ქალიშვილი მარიკა - მეან-გინეკოლოგი, უმცროსი - შორენა ჰოლანდიაში პათოლოგანატომის სპეციალობით მოღვაწეობს.

დავით ზოიძის სახელი მარად იცოცხლებს მადლიერი პაციენტების, მათი მშობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა“,

აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტი,

საქართველოს პედიატრთა ასოციაცია

ქართულ-პოლონური ფესტივალი

მეგობრობის საღამოების სითბო

მე-6 გვერდიდან

საღამო დაამშვენა ცნობილმა პოლონელმა საქსოფონისტმა ანჯეი ვალუსიმ. როგორც აღინიშნა, ეს მუსიკოსი ბათუმელთა ყველა კონცერტს იქ უანგაროდ ტექნიკურადაც ემსახურება. როგორც ამბობს, ამას ქართველების დიდი სიყვარულით აკეთებს.

- მნიშვნელოვანია მათი ჩამოსვლა ჩვენთან, ამით მასპინძლები ახლოს ეცნობიან პოლონურ ფოლკლორს. უნდა ვთქვა, რომ მათ ძალიან უყვართ ჩვენი ფოლკლორი, ქართული სიმღერა. აქ ჩამოსვლის სურვილი ყოველთვის აქვთ. ახლა ორდღიანი კახური ტური გვექნება, იქაურ სიმღერებსაც მოვასმენინებთ, ღვინის კულტურაც უნდა გავაცნოთ. შარშან პოლონელები სამცხე-ჯავახეთში გვყავდა. ძალიან კარგია ასეთი გაცვლითი ტურები. ჩვენ რვაჯერ ვიყავით პოლონეთში. ძალიან გულთბილად გვმასპინძლობენ ყოველ ჯერზე, - გვითხრა ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტმა ლევან ცხოიძემ.

- პოლონელებმა იქ გამოფენილი ჩვენი მხატვრების შესანიშნავი, ძალიან მაღალი ხარისხის კატალოგი დაგვიბეჭდეს. მადლობა მათ ამისთვის, ეს საღამოები ჩვენი მეგობრული ურთიერთობების გამოხატულებაა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ამ ურთიერთობებს მალე სპორტის მხრივაც გავამდიდრებთ, - გვითხრა აკაკი ძნელაძემ.

ანსამბლ „ჰეიშოვინას“ მაჩეკ კიერესი შვიდი წელია ხელმძღვანელობს. მას ხშირად აქვს ურთიერთობა ჩვენს კოლექტივებთან, უყვარს საქართველო, ქართველები. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იქაურ ერთობლივ საღამოებზე ჩოხაში გამოწყობილი გამოდის. პოლონელ მაყურებელს უხსნის, თუ რა სამოსია და რატომ აცვია.

გუშინ პოლონელი სტუმრები თავიანთი შემოქმედებით ქედას ეწვივნენ. ხვალ კახეთში გაემგზავრებიან.

დავით ზოიძე

ქართულ სამედიცინო საზოგადოებას, ოჯახს, მეგობრებს, ნათესავებს გამოაკლდა შესანიშნავი ექიმი, პედიატრი დავით ზოიძე.

დავით პეტროვიჩი, როგორც მას მეგობრების წრეში მოვიხსენიებდით, უაღრესად ნიჭიერი, ღრმად განსწავლული, ამავდროულად, გულისხმიერი, სანდო და ყურადღებიანი ექიმი გახლდათ. ვინც დათოს იცნობდა, უყოყმანოდ ანდობდა მას ყველაზე ძვირფასს - შვილის, პატარა ანგელოზის სიცოცხლეს. მეგობრებს ახსოვთ - როცა დათომ ასპირანტურაში, ფილოსოფიაში ჩაბარა გამოცდა, პასუხით კმაყოფილმა პროფესორმა გიორგი ვეკუამ უთხრა: „ვისურვებდი, რომ ჩემი ბავშვები სულ ჯანმრთელად დაიზარდონ, მაგრამ თუ მაინც გახდებიან ავად, შენისთანა გონიერი მკურნალი შეხვდეთ“.

ჩვენი დათო ყველგან გამორჩეული იყო - სწავლის პერიოდშიც, სამსახურშიც, მეგობრებშიც, ნათესავებშიც, ყველას უნაწილებდა სითბოს, უანგაროდ ეხმარებოდა... სამაგიერო დაფასება და სიყვარულიც არ აკლდა. მეგობრებს გვიყვარდა დათოს გვერდით შრომაც და გართობა-დასვენებაც. საოცარი, ხალასი იუმორით დაჯილდოებული, მაგნიტივით იზიდავდა ადამიანებს. სამსახურში თავდაუზოგავად მუშაობდა, მძიმე საქმესაც უპრეტენზიოდ, გულიანად ასრულებდა.

სტუდენტ დავით ზოიძის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა და პატიოსნება შეუმჩნეველი არ დარჩენია ცნობილ მეცნიერს, პედიატრთა მრავალი თაობის აღმზრდელს, პედიატრიის კათედრის გამგეს, პროფესორ ირაკლი ფაღავას, რომელმაც დათო თავის კათედრაზე აიყვანა ჯერ ასპირანტად, შემდეგ მუდმივ სამუშაოზე. ბატონი ირაკლი მზრუნველობას არ აკლებდა დათოს, როცა იგი ხულოსა და შუახევის რაიონებში, ბათუმში მოღვაწეობდა.

დავითი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ასრულებდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო და რთულ სამუშაოს - იყო მთავარი პედიატრი. ეს სამსახური ყველა დროში წარმოადგენს სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმს. აჭარის ყველა სოფელშია ნამყოფი დათო მძიმე ავადმყოფი ბავშვის გადასარჩენად, არაიშვიათად - ფეხით (დიდთოვლობის გამო). ამიტომაც იყო იგი მოსახლეობის გულწრფელი სიყვარულით გარემოსილი. არც მთავრობისგან აკლდა ჯილდოები, სიგელები, მადლობის წერილები.

ჩვენი მეგობარი დათო საკმაოდ გვიან დაქორწინდა უმშვენიერეს, უსათნოეს და უგანათლებულეს ქალბატონზე - ექიმ რუსიკო ლორიაზე, რომელთანაც შესანიშნავი ოჯახი შექმნა, ორი ქალიშვილიც გაზარდეს და ორივემ პროფესიად ექიმობა ირჩია. მარიკა ბათუმში მეან-გინეკოლოგად მუშაობს, შორენა კი ჰოლანდიაში მსახურობს და იქვე დაოჯახდა.

დათოს ოჯახთან მეგობრობას ოჯახებით განვაგრძობთ. გვიხაროდა მასთან სტუმრობა, სადაც ყველა შესანიშნავად მღერის, უკრავს, პოეზიის შედევრებს კითხულობს...

ეჰ, გაგვიჭირდება, უხალისო იქნება დათოს გარეშე ცხოვრება...

მადლობელი ვართ გულითადი მეგობრობისთვის.

მშვიდობით!

მეგობრების სახელით:
ყარამან ფაღავა, აკაკი ბერიძე, ჯემალ ბერიძე, ჯუმბერ უნგიაძე, სერგო დუმბაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/10/22, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ტილოზე გადმოტანილი ფილოსოფიური ხედვები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, აკადემიკოსი, ფაზისის აკადემიის წევრი, მხატვარი ***ვაშა კაკაბაძეა,*** *რომელსაც სურს კანტისა და აინშტაინის ფილოსოფია ნახატებში გადაიტანოს და ყველას აჩვენოს, რომ სიცოცხლის მთავარი არსი მხოლოდ მოძრაობაშია.*

- გამოფენას რატომ დაარქვით „სამყაროს ანტინომია“?

- გამოფენა აგებულია კანტის ფილოსოფიურ ხედვაზე. კანტი ამბობს, რომ სამყაროს აქვს დასასრული და სამყაროს არ აქვს დასასრული, აინშტეინი კი ამბობს, რომ

დრო არის ნულის ტოლი, აქედან გამომდინარე, თუ დრო ნულის ტოლია, გამოდის, სამყაროს არ აქვს დასასრული. აქ უკვე წინააღმდეგობაში მოდის კანტის ფილოსოფია და აინშტაინის გამოკვლევა. მე მაქვს ასეთი ნახატი - დროის განზომილება, რომელზეც მიწერია, რომ ადამიანმა დროის შემოღებით სამყარო შექმნა ერთხელ და სამუდამოდ. მართლაც, დრო არის შემოღებული ადამიანის მიერ. დრო არის გარკვეული პროცესების აღმნიშვნელი ფაქტორი, დრო არ არსებობს, ის განუსაზღვრელია. აწმყო არ არსებობს, ნულის ტოლია, არსებობს წარსული და მომავალი. ჩემს მხატვრობაში ასევე, ვცდილობ ზოგიერთი კომპოზიტორის ნაწარმოების ასახვას. მაგალითად, ჩემს ერთ-ერთ ნახატს ჰქვია „მთვარის სონატა“. მინდა, ჩემი ფილოსოფიური ხედვები გადმოვიტანო ტილოზე და ზემოქმედება მოვახდინო ადამიანის ცნობიერებაზე, ქვეცნობიერზე. საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ სამყაროში, რომელიც მოძრაობს, სიცოცხლე კი არის მოძრაობაში.

- რამ განაპირობა ტილოსთან დაბრუნება?

- დავწერე სტატია პარალელურ სამყაროსთან დაკავშირებით, რომელიც დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალში, თუმცა ვრცელი სტატიის წაკითხვა, მოგეხსენებათ, ხშირად ეზარება ბევრს და გადავწყვიტე ტილოზე გადატანა, რადგან აქ ადამიანს შეუძლია წაიკითხოს და დაინახოს კიდეც, ანუ მისი აღქმა ადვილია, მსურს გავაადვილო ხედვა. ვცდილობ ავსახო ყოველდღიური ყოფა, რაშიც ახლა ვიმყოფებით.

- ხატვისას რა გაძლევს ინსპირაციას?

- ხატვა არის ზიარება თავისუფლებასთან. ჩვენ ხშირად ვერ ვგრძნობთ, რა არის თავისუფლება. მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე თავისუფლებას პოულობდა, როდესაც ლექსს წერდა, ბეთჰოვენი თავისუფლებას პოულობდა, როდესაც წერდა მუსიკას, სალვადორ დალი - როცა ხატავდა. როდესაც მეგონა, ჩემი თავი ამოვწურე, ვიფიქრე, მოაჭარა არის ის, საიდანაც ქრისტიანობა შემოვიდა მთელ ქვეყანაში.

- რას ნიშნავს ზღვის ენერგია შემოქმედისთვის?

- ზღვა არის უდიდესი სივრცე, რომელიც ადამიანს ხედვის უნარს უმდიდრებს. თუ ზღვის პირას დადგები და ჰორიზონტს გახედავ, ცოტა ფანტაზია თუ გაქვს, ძალიან ბევრ რამეს დაინახავ. ზღვა მაძლევს ენერგიას, რომელსაც შემოქმედებაში ვიყენებ.

- ფერები უფრო გაძლევთ მუშაობის დროს თავისუფლებას თუ გამოხატვის ფორმები?

- გამოხატვის ფორმები, რადგან ფერი პირობითი ფორმაა. აი, მაგალითად, თეთრი ფერი საერთოდ არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ნახატებში გამოყენებული მაქვს. სასკოლო ფიზიკიდანაც ვიცით, რომ ქაღალდი ნებისმიერი ფერისა შეიძლება იყოს, გარდა თეთრისა, ის, უბრალოდ თეთრ ფერს აირეკლავს.

- არის რომელიმე ფერი, რომელიც განსაკუთრებით გიყვართ?

- ოქროსფერი და ლურჯი.

- რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს აღნიშნული ფერების სიყვარულს თქვენთვის?

- დიახ. მაგალითად, როცა ეკლესიას ხატავენ, გინდაც კათოლიკურს, მართლმადიდებლურს ან თუნდაც მეჩეთს, ოქროსფრად ხატავენ თაღს და რატომ? იმიტომ, რომ ამით გამოხატავენ სამოთხეს. რაც შეეხება ლურჯ ფერს, ეს ზღვაა, ბათუმია, ცაა.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი ნახატების ხილვის შემდეგ რა ემოციით ტოვებენ ადამიანები გალერეას?

- ჩემი სურვილია, თითოეულმა ადამიანმა გალერეა პოზიტიური განწყობით დატოვოს, დაფიქრდეს თავის ყოფაზე, სამყაროზე, რომელშიც ყოველდღიურად ცხოვრობს. მუდმივმოძრავი ფიქრის მიზეზი მინდა გახდეს ჩემი შემოქმედება ადამიანებისთვის.

- მუზის არსებობის გჯერათ?

- რასაკვირველია, მჯერა. ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია ჩემი მეუღლე ნანა მაისურაძე. მუზა ჩემთვის არის ენერგია, რომელსაც ვიღაცა გაძლევს. აი, ბათუმი შეიძლება იყოს მუზა ჩემთვის ამ მომენტში, მაგრამ ახლა, როცა თქვნ ჩემთან ინტერვიუს წერთ, ჩემი მეუღლე ზღვის სანაპიროზეა, ეს უკვე მუზაა, იქ რომ არ იყოს ჩემი მეუღლე, ჩემთვის ზღვის სანაპირო მიუხედავად ბევრი ხალხისა, იქნებოდა უბრალოდ ცარიელი.

- შინაგანი მრავალფეროვნებისთვის, რაც შემოქმედ ადამიანს უნდა ჰქონდეს, რა არის აუცილებელი?

- უფლის სიყვარული, რომელიც ყველა ჩვენგანშია, მთავარია, ვიპოვოთ და ჩვენივე ხელით არ მოვკლათ.

- ვხედავ ნახატს, რომელზეც უკრაინის დროშის ფერები გაქვთ გამოყენებული, ასევე რუსეთის დროშის ფერებიც, და გიწერიათ რუსეთი ოკუპანტია...

- კი, ამ ნახატის აზრი ის არის, რომ ჩვენ დავარღვევთ ყველა ბარიერს, მავთულხლართს და სიყვარულით დავბრუნდებით აფხაზეთში. არა ომს! თავისუფლება მოვა, თავისუფლება ჩვენია, ადამიანების და მას ვერავინ წაგვართმევს.

ანანო იაშვილს – პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ქალაქ აქტაუში ყაზახეთის მე-3 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე საქართველოდან მესხეთის თეატრმა მიიღო მონაწილეობა. ამ თეატრის სპექტაკლში „ირინეს ბედნიერება“ (რეჟისორი - საბა ასლამაზაშვილი) ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი ანანო იაშვილმა მიიღო

ანანო თბილისში დაიბადა, დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. ანდრო ენუქიძის ჯგუფში დრამისა და კინოს სამსახიობო ოსტატობა შეისწავლა და ამჟამად ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობია. ის აქტაუში გამართულ ფესტივალზე გვესაუბრება.

- ანანო, ფესტივალის შესახებ გვიამბეთ, რა ნომინაციები იყო და საქართველოს გარდა რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა?

- ყაზახეთში, ქალაქ აქტაუს მესამე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში 6 ქვეყანა 13 სპექტაკლით მონაწილეობდა. სულ 4 ნომინაცია იყო.

- რა მოლოდინი გქონდათ, ელოდით ამ ჯილდოს?

- ნამდვილად არ მქონია იმის მოლოდინი, რომ ფესტივალი ამ შედეგით დასრულდებოდა.

- როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?

- ჩვენ დაჯილდოების წინა დღეს დავბრუნდით, სამწუხაროდ, არ ვესწრებოდით ამ მნიშვნელოვან მომენტს, ამიტომ შედეგი ჯერ არ ვიცოდით. მთლიანობაში ძალიან სასიამოვნოდ ჩაიარა ფესტივალმა, თბილად მიგვიღეს, საოცრად სტუმართმოყვარე ხალხია.

- რა ემოცია დაგეუფლათ, როცა საუკეთესო ქალ მსახიობად დაგასახელეს?

- სამწუხაროდ, უკვე თბილისში ვიყავი, როდესაც ეს გავიგე, თუმცა ცრემლები მაინც ვერ შევიკავე. ძალიან ემოციური იყო ჩემთვის.

- რა მოგცათ ამ ფესტივალმა?

- ახალი, თან ძალიან საინტერესო გამოცდილება და პირველი ჯილდო.

- ბათუმში თუ ვიხილავთ „ირინეს ბედნიერებას“?

- სამწუხაროდ, ეს ჩემზე არაა დამოკიდებული, თუმცა სურვილი ძალიან დიდია და იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში ეს მოხერხდება.

- სპექტაკლის სპეციფიკაზე მოგვიყევით, როგორც ვიცით, მუსიკის გარეშე მიმდინარეობს...

- „ირინეს ბედნიერება“ დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც არ კარგავს აქტუალობას მიუხედავად იმისა, რომ მისი შექმნიდან თითქმის საუკუნე გავიდა. რეჟისორის ვერსიაში შენარჩუნებულია მთავარი ხაზი, თუმცა ამოღებულია პერსონაჟების ნაწილი. სცენაზე მხოლოდ ოთხი მამაკაცი და ერთი ქალია (ირინე). არ გვაქვს მუსიკა, გარდა დოლისა, რომელზეც უკრავს მამაკაცთა მთელი შემადგენლობა, ასევე მეც. არის ქართული ტრადიციული ცეკვაც და სიმღერაც. ესაა სპექტაკლი, რომელიც მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგაა მიმართული და ქალებზე ძალადობის მწვავე პრობლემას ეძღვნება.

- თქვენს როლზე გვიამბეთ - როგორი პერსონაჟია ირინე და რამდენად რთულია გარდასახვა?

- ის ახალგაზრდა, მეამბოხე და ძლიერი ქალია, რომელსაც მამრობითი სქესის საზოგადოება მთლიანად ანგრევს, თუმცა სპექტაკლის ბოლოს შეიძლება პირიქითაც იფიქროს მაყურებელმა. მოკლედ, აუცილებლად უნდა ნახოთ ეს სპექტაკლი, რადგან ვერსია, რომელსაც ვთავაზობთ მაყურებელს, ძალიან განსხვავდება აქამდე დადგმული ვერსიებისგან.

- დამსწრე საზოგადოებამ როგორ მიიღო ქართულენოვანი სპექტაკლი, რამდენად მივიდა თქვენი სათქმელი მაყურებლამდე?

- ფესტივალზე ძალიან კარგად და სწორად მიიღეს სპექტაკლი მიუხედავად იმისა, რომ ენა არ ესმოდათ. ეკრანზე გადიოდა სუბტიტრები, რაც ეხმარებოდა მაყურებელს, თუმცა მგონია, რომ მის გარეშეც ყველა მიხვდება და გაიგებს ჩვენს მთავარ სათქმელს.

- რა არის თქვენთვის სცენა?

- ყველაფერი!

- საუკეთესო როლი, რომელიც გითამაშიათ...

- ამ ეტაპზე გასაკვირიც არ იქნება, რომ ირინე დავასახელო.

- მსახიობი რომ არ ყოფილიყავით, რომელ პროფესიას აირჩევდით და რატომ?

- ამ კითხვას ჩემს თავს ხშირად ვუსვამ და პასუხი ყოველთვის ერთია - რამდენჯერაც უნდა დავბრუნდე წარსულში, ყოველ ჯერზე ამ პროფესიას ავირჩევდი.

- რა გეგმები გაქვთ?

- კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩავაბარე სამსახიობო სპეციალობის მაგისტრატურაზე ლევან (ჭოლა) წულაძის ჯგუფში. კვლავ სტუდენტი ვარ. ჩვენს თეატრში სეზონი გაიხსნა, გვყავს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ახალი გეგმებით და იმედია, ჩვენი თეატრი მომავალშიც კვლავ საუკეთესოთა სიაში იქნება.